ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4842808

ნომერი: AR1725574

თარიღი : 20.12.2019

გაცემის თარიღი : 31.01.2020

გაცნობის თარიღი : 02.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა ; ქალაქი თბილისი , ზურგოვანის ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , სოფელი ზურგოვანი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 20 დეკემბრის №AR1725574 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას 2019 წლის 28 ოქტომბრის №4722501 ბრძანებაში.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2020 წლის 15 იანვრის №4822402 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სამსახურმა, შეისწავლა თქვენ მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხარვეზი სრულყოფილად არ იქნა შევსებული. კერძოდ, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას 2019 წლის 28 ოქტომბრის №4722501 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები, რომლებზეც გრაფიკულად დატანილი იქნება სხვადასხვა ფუნქციები განსხვავებულ ფერში, ფუნქციის შესაბამისი ფართობების მითითებით. ასევე წარმოდგენილი გეგმებიდან დგინდება რომ სველი წერტილების და დერეფნების ფართობები შეყვანილია დამხმარე ფართობში, საჭიროა აღნიშნული ფართობები შეტანილ იქნას საცხოვრებელ ფართობში. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა შესწორდეს გეგმების ექსპლიკაციებიც და მოთხოვნის ტექსტიც.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 01 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2019 წლის 20 დეკემბრის №AR1725574 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.